2023 წლის 19 მაისს, ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის - „საინსტიტუტო საუბრების“ ეგიდით გაიმართა მორიგი სემინარი, რომელზეც ისტორიის დოქტორმა **მზია მარსაგიშვილმა** წარმოადგინა მოხსენება თემაზე: **„კლიტენი იერუსალიმისანი,“ რომელთაც ერთ დროს ქართველები ფლობდნენ.“**

„ძეგლი ერისთავთას“ (XIV-XV სს.) ცნობის მიხედვით, ქრისტეს საფლავის ეკლესიის კარს, რომელიც ამბის სიდიადის საჩვენებლად წყაროებში „იერუსალიმის კლიტედ“ არის მოხსენიებული, XIV საუკუნის დასაწყისში ქართველები ფლობდნენ. გრიგოლ ფერაძის მიერ მოძიებული მოგზაურ ფელიქს ფაბრის მიერ 1480-1483 წლებში გაკეთებული ჩანაწერის თანახმად, ქრისტიანთა ამ უმთავრეს სალოცავს სამი შესასვლელი კარი ჰქონდა, რომელთაგან ერთ-ერთი, მის მოგზაურობამდე ცოტა ხნით ადრე, ქართველებს ეკუთვნოდა.

ამასთანავე, ბეენა ჩოლოყაშვილი, ჯვრის მონასტრის ხელნაწერზე დატოვებული 1514 წლის მინაწერით, საკუთარი ხელით ტაძრის „კარის შებმას“ გვაუწყებს. მინაწერს ალექსანდრე ცაგარელმა (1883 წ.) და ნიკო მარმა (1902 წ.) მიაქციეს ყურადღება. ამბის უტყუარობა განამტკიცა იმავე 1514 წელს გაცემულმა ერთმა არაბულმა ბრძანებულებამ, რომელიც XX საუკუნის დასასრულს პროფ. გოჩა ჯაფარიძემ აღმოაჩინა და თარგმნა.

რამდენადაც სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიები თავგამოდებით იცავდნენ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში დასაკუთრებულ ყოველ მტკაველს, ბეენა მხოლოდ სათავისთავო კარის შეკეთების უფლებას მიიღებდა. ამდენად, ქართველთაგან „იერუსალიმის კლიტის“ პყრობის XIV და XVI საუკუნეთა ამბავი, ავტორის აზრით, ერთსა და იმავე კარს ეხება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ქართველები ტაძარში შესასვლელ მთავარ (სამხრეთის) კარს ფლობდნენ. მაგრამ ქართული და სხვა წყაროების „ირიბი ინფორმაციის“ მიხედვით, ეს კარი, რომლის „შესასვლელი ჭიშკრით იხურება და ურდულით იკეტება“, შენობის დასავლეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო განთავსებული.

ავტორს არ ჰქონდა საშუალება თავად ენახა ეს კარი, რათა დარწმუნებულიყო მხოლოდ საბუთებზე დაკვირვებით ნავარაუდევი კარის არსებობაში. ამიტომ მან მიმართა კაპერნაუმში (გალილეა) თორმეტი მოციქულის სახელობის ეკლესიის იღუმენს, არქიმანდრიტ ირინარხოსს, რომლისგანაც შეიტყო, რომ ფაბრის ჩანაწერში ხსენებული „პატარა ეზო“ დღესაც არსებობს, ხოლო ქვებით ამოშენებული კარის ქვის ჩარჩო ახლაც კარგად ჩანს.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერის, ლავრენტი გოგელაძის 1806 წლის მინაწერის ცნობით, ქართველთა კუთვნილ „იერუსალიმის“ ბჭეს ქართული წარწერა ჰქონდა. როგორც ჩანს, ეს „კვიპაროზის კარი“ ან 1808 წლის ხანძარს, ან მის შემდგომ აღდგენით სამუშაოებს შეეწირა.